

**0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის  
სტანდარტები (ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორები- დაწესებულების დონეზე  
მონიტორინგისთვის)**

**1. სტრუქტურა**

**1.1. ზოგადი მოთხოვნები 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე  
ზედამხედველობაზე**

- 1) დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ადგილობრივი პროტოკოლი (სტანდარტული ოპერაციული პროცედურა), საინფორმაციო და გამოძახების სათანადო მხარდაჭერი სისტემები: ადმინისტრაციული პერსონალის პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება, IT მხარდაჭერა, ვიზიტების დაგეგმვის სისტემა, სპეციალისტებს შორის ინფორმაციის კოორდინირება, სათანადო დოკუმენტაცია.
- 2) პჯდ პერსონალის (ექიმების და ექთნების) წილი, ვისაც ჩაუტარდა ტრენინგი „0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის“ გამოყენებაზე
- 3) დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემა
- 4) დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებელი პირი/კოორდინატორი
- 5) დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა ელექტრონული რეესტრი (ფორმირებული - ჯანმრთელი/მაღალი რისკი/განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშნებით/შეფერხების მქონე და სხვა სპეციფიკური მდგომარეობების ჩამონათვალი)

**1.2. მოთხოვნები ტელემედიცინაზე**

- 1) პაციენტთან ვირტუალური კონსულტაციისთვის გამოყოფილია პრივატული სივრცე სათანადო განათებით, რაც საშუალებას მისცემს ოჯახის ექიმს/სპეციალისტს დისტანციურად ჩაატაროს კლინიკური შეფასება
- 2) დაწესებულებას გააჩნია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა ტელეკონსულტაციების განხორციელებისთვის: შესაბამისი კომპიუტერი, ინტერნეტი, ვიდეოჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა
- 3) დაწესებულებას გააჩნია პაციენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის სისტემა ტელეკონსულტაციებთან მიმართებაში
- 4) დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა დისტანციური კონსულტაციის გზამკვლევი
- 5) დაწესებულებას გააჩნია უკუკავშირის სისტემა სამედიცინო პერსონალისა და პაციენტებისთვის ტელემედიცინის სისტემის ფუნქციონირების ხარისხის შესაფასებლად
- 6) დაწესებულებას გააჩნია ტელემედიცინის შედეგად მიღებული ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტები

**1.3.2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების მხარდაჭერა**

- 1) პჯდ დაწესებულება ახორციელებს მემუშური დედეების და ბავშვების მიმართ მეგობრული გარემოს პოლიტიკას ძუძუთი კვების ხელშეწყობის მიზნით

- 2) პჯდ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ჯანმო/UNICEF-ის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი ინიციატივისა და საქართველოს ძუძუთი კვების კანონის მოთხოვნების შესაბამისი წესების დაცვა

## 2. პროცესი:

### 2.1. უნივერსალური სკრინინგები

- 1) 1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ წონა/სიგრძე/სიმაღლე და თავის გარემომოწერილობის გაზომვა და მონაცემების გადატანა ჯანმო-ს Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე
- 2) 1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ თანდაყოლილი ბარძაყის დისპლაზიის, მხედველობისა და სმენის პრობლემების სკრინინგი
- 3) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს ჩატარებული აქვთ განვითარების რუტინული სკრინინგი ასაკისა და ეტაპების (ASQ-3) სტანდარტული კითხვარით
- 4) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 18 და/ან 24 თვის ასაკში ჩაუტარდათ აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) შეფასება
- 5) 1 წლამდე ასაკის ბავშვების დედის/მომვლელის %, რომელთაც ჩაუტარდათ შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით

### 2.2. სელექციური/არაგეგმიური სკრინინგები

ამ ინდიკატორების პორტალიდან ამოღებისთვის აუცილებელია ASQ-3 კითხვარის შეფასების ვიზიტებში შეტანილი იყოს განვითარების შეფასების ოთხი გამოსავალი: ა) ნორმალური განვითარება; ბ) ნორმალური განვითარება რისკფაქტორებით; გ) განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშანი; დ) განვითარების საეჭვო შეფერხება. სელექციური სკრინინგის გრაფაში უნდა გამოდიოდეს ექიმისთვის რემაინდერი, როდის ტარდება სელექციური სკრინინგი.

ასევე განვითარების რისკფაქტორებისთვის ექიმს უნდა ჰქონდეს შემახსენებელი, როდისაა განვითარების პრობლემების მაღალი რისკი:

- \* პრენატალური ზრუნვის არარსებობა ან არასათანადო ზრუნვა
- \* პრობლემები ორსულობის ან მშობიარობის დროს
- \* დღენაკლულობა
- \* 2500გ-ზე დაბალი წონა დაბადებისას
- \* მნიშვნელოვანი სიყვითლე
- \* ჰოსპიტალიზაცია ნეონატალურ პერიოდში
- \* სერიოზული დაავადება, როგორცაა მაგალითად, მენინგიტი, თავის ტრავმა ან გულყრა
- \* მშობლების სისხლით ნათესაობა
- \* მენტალური პრობლემები ოჯახში

\* **სოციალური რისკ-ფაქტორები, როგორცაა ოჯახში ძალადობა, დედის დეპრესია, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის საზიანო მოხმარება, სექსუალური ძალადობა და ა. შ.**

- 1) 0-6 წლის ბავშვების %, სელექციური სკრინინგის სპეციფიკური ჩვენებით, სადაც ჩატარდა შესაბამისი გეგმიური სკრინინგი
- 2) 6 წლამდე ბავშვთა %, ასდ-ს მაღალი რისკით/საყურადღებო სიმპტომებით, სადაც ჩატარდა აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) რიგგარეშე (არაგეგმიური) შეფასება
- 3) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა % განვითარების რისკ-ფაქტორებით/გამაფრთხილებელი ნიშნებით, რომელთაც ჩატარდა განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი
- 4) 1 წლამდე ასაკის ბავშვების დედის/მომვლელის %, რომელთაც ჩატარდა არაგეგმიური შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით

### **2.3. მიმდინარე მეთვალყურეობა**

- 1) 0-6 წლის ბავშვების %, სადაც მეთვალყურეობა მიმდინარეობს ნორმალური განვითარების მეთვალყურეობის რეკომენდებულ ვადებში
- 2) 0-6 წლის ბავშვების %, განვითარების სელექციური სკრინინგის ჩვენებით, სადაც დოკუმენტირებულია მეთვალყურეობა
- 3) 0-6 წლის ასაკის ბავშვთა %, სადაც უკურეფერალის შედეგები დოკუმენტირებულია და არსებობს რეესტრები უკურეფერალის დიაგნოზებით
- 4) 0-6 წლის ბავშვების განვითარებაზე მეთვალყურეობის გეგმა-შესრულება (მათ შორის, გეგმიური და რიგგარეშე) გვაქვს მომდევნო ვიზიტის თარიღები ყველა შემთხვევაში, ამის დათვლა შეგვიძლია, სად უნდა იყოს ინდიკატორი, ვიმსჯელოთ?

### **2.4. ვაქცინაცია**

0-6 წწ იმუნიზაციის გეგმა-შესრულების მდგომარეობა ყოველთვიურად - მოცვა ბავშვების და ასაკის და ვაქცინის მიხედვით - **ეს უნდა ამოვიდეს იმუნიზაციის პორტალიდან**

### **2.5. ძუძუთი კვება**

- 1) 1 თვემდე ასაკის ბავშვთა %, სადაც დოკუმენტირებულია ძუძუთი კვების ტექნიკის შეფასება
- 2) 1 თვემდე ასაკის ბავშვთა %, სადაც დოკუმენტირებულია ძუძუთი კვების ეფექტურობის შეფასება
- 3) 1 წლამდე ბავშვთა %, რომელთაც ექსკლუზიური ძუძუთი კვების ან ხელოვნური ფორმულის <784მლ/1ლ მოცულობით მიღებისას სამშობიარო სახლიდან გაწერის შემდეგ დანიშნული აქვს ვიტ. D 400 IU დღეში
- 4) 1 წლამდე ბავშვთა %, რომელთა მეძუძური დედა ექსკლუზიური ძუძუთი კვების დროს სამშობიარო სახლიდან გაწერის შემდეგ ყოველდღიურად იღებს 4000-6400 IU ვიტ D-ს.

### **2.6. მშობელთა/ბავშვის მომვლელთა განათლება**

## მშობლის კონსულტირება პორტალზე თემებად არ არის ჩაშლილი და ეს მონაცემები შემაჯემებელი კომენტარიდან ამოვა?

- 1) 0-6 წლის ბავშვების მშობელთა %, რომელთაც ჩაუტარდათ საგანმანათლებლო კონსულტირება ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე:
  - a) ჯანმრთელობის განმსაზღვრელ სოციალურ ფაქტორებზე
  - b) ბავშვის ქცევას, კოგნიტიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე
  - c) მშობლებისა და ოჯახის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (დედის დეპრესია, ოჯახური ურთიერთობები);
  - d) უსაფრთხოება
- 2) 0-1 წლის ბავშვების მშობელთა %, რომელთაც პროტოკოლით განსაზღვრულ ყველა ვიზიტზე ჩაუტარდათ საგანმანათლებლო კონსულტირება კვების საკითხებზე:
  - e) 1 წლამდე ასაკის ბავშვთა %, სადაც დოკუმენტირებულია კონსულტირება ძუძუთი კვების შესახებ
  - f) 1 წლის ბავშვების მშობელთა %, რომელთაც ჩაუტარდათ კონსულტირება ბავშვის ასაკისთვის შესაბამისი კვების საკითხებზე

### 2.7. ოჯახის/გარემო პირობების შეფასება

- 1) 1 თვის ბავშვების %, სადაც დოკუმენტირებულია ბინის პირობების უსაფრთხოების შეფასება
- 2) 0-6 წლის ბავშვების %, სადაც ჩატარდა ოჯახის/გარემო პირობების შეფასება

## 3. გამოსავლის ინდიკატორები:

### 3.1. 2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვება

- 1) 6 თვემდე ასაკის ბავშვთა %, რომლებიც იმყოფებიან ექსკლუზიურ ძუძუთი კვებაზე
- 2) 0,1,2,3,4 და 5 თვის ასაკის ბავშვთა %, რომლებიც იმყოფებიან ექსკლუზიურ ძუძუთი კვებაზე
- 3) 12-23 თვის ბავშვთა %, რომელთაც დამატებით საკვებთან ერთად ეძლევათ დედის რძე

### 3.2. შეფასების შედეგად გამოვლინდა?

- 1) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა % სელექტიური სკრინინგის ჩვენებით
- 2) 6 წლამდე ასაკის ნორმალური განვითარების ბავშვთა წილი %,
- 3) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც გამოუვლინდათ განვითარების შეფერხების მაღალი რისკი
- 4) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც გამოუვლინდათ განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშნები
- 5) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც გამოუვლინდათ განვითარების შეფერხება - სკრინინგის დადებითი შედეგი
- 6) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც გამოუვლინდათ აუტისტური სპექტრის დარღვევა
- 7) 1 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთა დედებსაც გამოუვლინდა პოსტნატალური დეპრესია

- 8) 6 წლამდე ბავშვების %, რომელთაც გამოუვლინდათ ჯანმრთელობის სოციალური რისკ-ფაქტორები
- 9) 6 წლის ბავშვების %, რომელთაც გამოუვლინდათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები

### 3.3. მართვის გეგმა/რეფერალი ჯანდაცვის სერვისებში/სოციალური პროგრამები

- 1) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომლებიც გაიგზავნენ სპეციალიზებულ კლინიკაში ყოვლისმომცველი შეფასების მიზნით
- 2) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომლებიც გაიგზავნენ ადრეული ინტერვენციის პროგრამაში
- 3) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, აუტისტური სპექტრის დარღვევით, რომლებიც გაიგზავნენ შესაბამის სერვისებში
- 4) 1 წლამდე ასაკის ბავშვთა პოსტნატალური დეპრესიის მქონე დედების %, რომელთა შემთხვევაშიც შემუშავებულია მართვის ადეკვატური გეგმა
- 5) 0-6 წლის ბავშვების %, სადაც ოჯახის/გარემო პირობების შეფასების დროს გამოვლენილი რისკის დროს, შემუშავდა მართვის შესაბამისი გეგმა
- 6) 1 წლამდე ასაკის ბავშვთა პოსტნატალური დეპრესიის მქონე დედების %, რომლებიც გაიგზავნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტთან
- 7) მშობელთა/ბავშვის მომვლელთა რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან (სპეციალისტების მიხედვით ჩამონათვალი)
- 8) 6 წლის ბავშვების % ჯანმრთელობის სოციალური რისკ-ფაქტორებით, რომლებიც გაიგზავნენ შესაბამის სოციალურ სამსახურში

### 3.4. ვაქცინაცია

- 1) 0-6 წწ იმუნიზაციის გეგმა-შესრულების მდგომარეობა ყოველთვიურად - მოცვა ბავშვების და ასაკის და ვაქცინის მიხედვით - ეს უნდა ამოვიდეს იმუნიზაციის პორტალიდან ყოველთვიურად

### ჩამონათვალის შემდეგ დავუბრუნდეთ ფორმაში ჩასმის თემას

#### 1. სტრუქტურა

##### 1.1. ზოგადი მოთხოვნები 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობაზე

1. დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ადგილობრივი პროტოკოლი (სტანდარტული ოპერაციული პროცედურა), საინფორმაციო და გამომახების სათანადო მხარდამჭერი სისტემები: ადმინისტრაციული პერსონალის პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება, IT მხარდაჭრა, ვიზიტების დაგეგმვის სისტემა, სპეციალისტებს შორის ინფორმაციის კოორდინირება, სათანადო დოკუმენტაცია.
2. პჯდ პერსონალის (ექიმების და ექთნების) წილი, ვისაც ჩაუტარდა ტრენინგი „0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის“ გამოყენებაზე
3. დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემა

4. დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებელი პირი/კოორდინატორი
5. დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა ელექტრონული რეესტრი (ფორმირებული - ჯანმრთელი/მაღალი რისკი/განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშნებით/შეფერხების მქონე და სხვა სპეციფიკური მდგომარეობების ჩამონათვალი)

| <b>ინდიკატორი 1</b>         |  |   |
|-----------------------------|--|---|
| <b>აღწერა/განმარტება</b>    | <b>ინდიკატორის დასახელება</b>                          | <b>0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ორგანიზაციული ინდიკატორები</b>   |
|                             | <b>ინდიკატორის აღწერა</b>                              | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ადგილობრივი პროტოკოლის (სტანდარტული ოპერაციული პროცედურის) და შესაბამისი საინფორმაციო და გამოძახების სათანადო მხარდამჭერი სისტემების არსებობა   |
| <b>მონაცემთა ელემენტები</b> | <b>მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?</b>            | პჯდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა   |
|                             | <b>მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება?</b> | არა   |
| <b>კალკულაცია</b>           | <b>მრიცხველი</b>                                       | დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ადგილობრივი პროტოკოლი (სტანდარტული ოპერაციული პროცედურა)<br>დაწესებულებას გააჩნია საინფორმაციო და გამოძახების სათანადო მხარდამჭერი სისტემები: ადმინისტრაციული პერსონალის პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება, IT მხარდაჭრა, ვიზიტების დაგეგმვის სისტემა, სპეციალისტებს შორის ინფორმაციის კოორდინირება, სათანადო დოკუმენტაცია |
|                             | <b>მნიშვნელი</b>                                       |   |
| <b>ინდიკატორი 2</b>         |  |   |
| <b>აღწერა/განმარტება</b>    | <b>ინდიკატორის დასახელება</b>                          | <b>პჯდ დაწესებულებაში 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობაში ტრენირებული პერსონალის არსებობა</b>  |
|                             | <b>ინდიკატორის აღწერა</b>                              | პჯდ პერსონალის (ექიმების და ექთნების) წილი, ვისაც ჩაუტარდა ტრენინგი „0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის“ გამოყენებაზე  |
| <b>მონაცემთა ელემენტები</b> | <b>მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?</b>            | პჯდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა   |



|                      |   |   |
|----------------------|---|---|
|                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება? | არა   |
| კალკულაცია           | მრიცხველი                                       | × პუდ პერსონალის (ექიმების და ექთნების) რაოდენობა, ვისაც ჩაუტარდა ტრენინგი „0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის“ გამოყენებაზე |
|                      | მნიშვნელი                                       | ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობის პროგრამაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის (ექიმების, ექთნების) საერთო რაოდენობა  |
| <b>ინდიკატორი 3</b>  |   |   |
| აღწერა/განმარტება    | ინდიკატორის დასახელება                          | <b>პუდ დაწესებულებაში ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემის არსებობა</b>  |
|                      | ინდიკატორის აღწერა                              | დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემა  |
| მონაცემთა ელემენტები | მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?            | პუდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა   |
|                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება? | არა   |
| კალკულაცია           | მრიცხველი                                       | დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემა  |
|                      | მნიშვნელი                                       |   |
| <b>ინდიკატორი 4</b>  |   |   |
| აღწერა/განმარტება    | ინდიკატორის დასახელება                          | <b>პუდ დაწესებულებაში ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობა</b>  |
|                      | ინდიკატორის აღწერა                              | სამედიცინო მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებელი პირის/კოორდინატორის არსებობა  |
| მონაცემთა ელემენტები | მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?            | პუდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა   |
|                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება? | არა   |
| კალკულაცია           | მრიცხველი                                       | დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებელი პირი/კოორდინატორი   |
|                      | მნიშვნელი                                       |   |
| <b>ინდიკატორი 5</b>  |   |   |
| აღწერა/განმარტება    | ინდიკატორის დასახელება                          | <b>პუდ დაწესებულებაში 0-6 წლის ბავშვთა ელექტრონული რეესტრების არსებობა</b>  |

|                             |  |  |
|-----------------------------|--|--|
|                             | <b>ინდიკატორის აღწერა</b>                              | 0-6 წლის ბავშვთა რეესტრები, სადაც მითითებულია ბავშვის განვითარების შეფასების გამოსავლები   |
| <b>მონაცემთა ელემენტები</b> | <b>მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?</b>            | პჯდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა  |
|                             | <b>მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება?</b> | არა  |
| <b>კალკულაცია</b>           | <b>მრიცხველი</b>                                       | დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა ელექტრონული რეესტრი (ფორმირებული - ჯანმრთელი/მაღალი რისკი/განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშნებით/შეფერხების მქონე და სხვა სპეციფიკური მდგომარეობების ჩამონათვალი) |
|                             | <b>მნიშვნელი</b>                                       |  |

**1.2. მოთხოვნები ტელემედიცინაზე**

- 1) პაციენტთან ვირტუალური კონსულტაციისთვის გამოყოფილია პრივატული სივრცე სათანადო განათებით, რაც საშუალებას მისცემს ოჯახის ექიმს/სპეციალისტს დისტანციურად ჩაატაროს კლინიკური შეფასება
- 2) დაწესებულებას გააჩნია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა ტელეკონსულტაციების განხორციელებისთვის: შესაბამისი კომპიუტერი, ინტერნეტი, ვიდეოჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა
- 3) დაწესებულებას გააჩნია პაციენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის სისტემა ტელეკონსულტაციებთან მიმართებაში
- 4) დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა დისტანციური კონსულტაციის გზამკვლევი
- 5) დაწესებულებას გააჩნია უკუკავშირის სისტემა სამედიცინო პერსონალისა და პაციენტებისთვის ტელემედიცინის სისტემის ფუნქციონირების ხარისხის შესაფასებლად
- 6) დაწესებულებას გააჩნია ტელემედიცინის შედეგად მიღებული ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტები

| <b>ხარისხის სტანდარტი 1.2 - ტელემედიცინისთვის მზაობა</b> |  |   |
|--|--|---|
| <b>აღწერა/განმარტება</b>                                 | <b>ინდიკატორის დასახელება</b>                          | <b>დაწესებულების მზაობა ტელემედიცინისთვის</b>   |
|  | <b>ინდიკატორის აღწერა</b>                              | სამედიცინო დაწესებულებაში ტელემედიცინის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსის არსებობა |
| <b>მონაცემთა ელემენტები</b>                              | <b>მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?</b>            | პჯდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა   |
|  | <b>მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება?</b> | არა   |



|                                      |   |   |
|--------------------------------------|---|---|
| <p><b>კალკულაცია</b></p>             | <p><b>მრიცხველი</b></p>   | <p>დადებითი პასუხების რაოდენობა 5-13 კითხვებზე:</p> <p>1) პაციენტთან ვირტუალური კონსულტაციისთვის გამოყოფილი პრივატული სივრცე სათანადო განათებით, რაც საშუალებას მისცემს ოჯახის ექიმს/სპეციალისტს დისტანციურად ჩაატაროს კლინიკური შეფასება</p> <p>2) დაწესებულებას გააჩნია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა ტელეკონსულტაციების განხორციელებისთვის: შესაბამისი კომპიუტერი, ინტერნეტი, ვიდეოჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა</p> <p>3) დაწესებულებას გააჩნია პაციენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის სისტემა ტელეკონსულტაციებთან მიმართებაში</p> <p>4) დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლის ბავშვთა დისტანციური კონსულტაციის გზამკვლევი</p> <p>5) დაწესებულებას გააჩნია უკუკავშირის სისტემა სამედიცინო პერსონალისა და პაციენტებისთვის ტელემედიცინის სისტემის ფუნქციონირების ხარისხის შესაფასებლად</p> <p>6) დაწესებულებას გააჩნია ტელემედიცინის შედეგად მიღებული ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტები</p> |
|                                      | <p><b>მნიშვნელი</b></p>   | <p>კითხვების საერთო რაოდენობა 1-დან მე-6 ინდიკატორის ჩათვლით</p>  |
| <p><b>ინდიკატორის დასაბუთება</b></p> | <p>აღნიშნული ინდიკატორები ადაპტირებულია PAHO COVID 19 and Telemedicine Tool for assessing the maturity level of health institutions to implement telemedicine services ; 2020: <a href="https://www3.paho.org/ish/images/toolkit/COVID-19-Telemedicine_RATool-en.pdf">https://www3.paho.org/ish/images/toolkit/COVID-19-Telemedicine_RATool-en.pdf</a> - ინსტრუმენტიდან</p> <p>ჩამოთვლილი 6 ინდიკატორიდან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>* სულ მცირე, 5-ის შესრულება (80%) მიუთითებს ტელემედიცინის სერვისის განხორციელებისთვის მაღალ მზაობაზე,</li> <li>* 3-4-ის შესრულება (50-70%) - საშუალო მზაობაზე და</li> <li>* &lt;3-ის შესრულება - დაბალ მზაობაზე</li> </ul> <p>ტელემედიცინისთვის მზაობის ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული ინდიკატორები 5-10 (მოიცავს სათანადო დოკუმენტაციას, პროტოკოლებს, შესაბამისად მომზადებულ პერსონალს, ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ აღჭურვილობას და ა.შ.)</p> |   |

|  |   |
|--|---|
|  | ტელემედიცინისთვის მზაობის პროცესის ინდიკატორები 11-13 (მოიცავს პროცესის კონფიდენციალობას, მონაცემთა მოგროვებას, ანალიზს, სამედიცინო პერსონალისა და პაციენტების მხრიდან უკუკავშირის პროცესის ეფექტურობის შესაფასებლად) |
|--|---|

**1.3. 2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების მხარდაჭერა**

- 1) პჯდ დაწესებულება ახორციელებს მეძუძური დედების და ბავშვების მიმართ მეგობრული გარემოს პოლიტიკას ძუძუთი კვების ხელშეწყობის მიზნით
- 2) პჯდ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ჯანმო/UNICEF-ის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი ინიციატივისა და საქართველოს ძუძუთი კვების კანონის მოთხოვნების შესაბამისი წესების დაცვა

| ინდიკატორი 1           |   |  |
|------------------------|---|--|
| აღწერა/განმარტება      | ინდიკატორის დასახელება  | პჯდ დაწესებულებაში მეგობრული გარემოს უზრუნველყოფა მეძუძური დედებისა და ბავშვებისთვის ძუძუთი კვების ხელშეწყობის მიზნით                    |
|                        | ინდიკატორის აღწერა  | პჯდ დაწესებულებების %, სადაც მეძუძური დედები და ბავშვები უზრუნველყოფილი არიან მეგობრული გარემოთი ძუძუთი კვების ხელშეწყობის მიზნით        |
| მონაცემთა ელემენტები   | მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?  | პჯდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა  |
|                        | მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება?   | არა  |
| კალკულაცია             | მრიცხველი   | ორგანიზაციების რაოდენობა მნიშვნელიდან, სადაც მეძუძური დედა და ბავშვი უზრუნველყოფილია მეგობრული გარემოთი ძუძუთი კვების ხელშეწყობის მიზნით |
|                        | მნიშვნელი   | პჯდ დაწესებულებების რაოდენობა, სადაც ბავშვის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში     |
| ინდიკატორის დასაბუთება | <p>პჯდ-სთვის ძუძუთი კვების პოლიტიკის ჯანმო/UNICEF -ის რეკომენდაციების თანახმად<sup>1</sup>, მეგობრული გარემო გულისხმობს შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>* დაწესებულებას გააჩნია წერილობითი პოლიტიკა ძუძუთი კვების ხელშეწყობასთან დაკავშირებით,</li> <li>* ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობაში ჩართული სამედიცინო პერსონალის სულ მცირე 80% ტრენირებულია ძუძუთი კვების ხელშეწყობაში</li> <li>* მეძუძურ დედას აქვს შესაძლებლობა და ხელშეწყობა კვების ბავშვი ძუძუთი დაწესებულების საჯარო სივრცეში</li> <li>* დაწესებულებაში გამოყოფილია მყუდრო სივრცე იმ მეძუძური დედებისთვის, რომლებიც კვების პროცესში უპირატესობას ანიჭებენ პრივატულობას</li> <li>* დაწესებულებაში გამოკრულია ინფორმაცია ძუძუთი კვების პოლიტიკის შესახებ</li> </ul> |  |

|                               |  |  |
|-------------------------------|--|--|
|                               | * პჯდ პერსონალი ბინაზე/ამბულატორიული ვიზიტების დროს მეძუძურ დედას აწვდის ინფორმაციას დაწესებულებაში ძუძუთი კვების ხელშეწყობის პოლიტიკის და შესაძლებლობის შესახებ   |  |
| <b>ინდიკატორი 2</b>           |  |  |
| <b>აღწერა/განმარტება</b>      | <b>ინდიკატორის დასახელება</b>  | <b>პჯდ დაწესებულებაში ჯანმო / UNICEF-ის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი ინიციატივისა და საქართველოს ძუძუთი კვების კანონის მოთხოვნების შესაბამისი წესების დაცვა</b>                              |
|                               | <b>ინდიკატორის აღწერა</b>  | პჯდ დაწესებულებების %, სადაც უზრუნველყოფილია ჯანმო / UNICEF-ის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი ინიციატივისა და საქართველოს ძუძუთი კვების კანონის მოთხოვნების შესაბამისი წესების დაცვა           |
| <b>მონაცემთა ელემენტები</b>   | <b>მონაცემთა რომელი ელემენტების საჭირო?</b>  | პჯდ დაწესებულებების კვლევა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა  |
|                               | <b>მონაცემთა ელემენტები ამჟამად იხმარება/გროვდება?</b>   | არა  |
| <b>კალკულაცია</b>             | <b>მრიცხველი</b>   | × პჯდ დაწესებულებების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია ჯანმო / UNICEF-ის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი ინიციატივისა და საქართველოს ძუძუთი კვების კანონის მოთხოვნების შესაბამისი წესების დაცვა |
|                               | <b>მნიშვნელი</b>   | პჯდ დაწესებულებების რაოდენობა, სადაც ბავშვის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში   |
| <b>ინდიკატორის დასაბუთება</b> | ჯანმო / UNICEF-ის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი ინიციატივისა და საქართველოს ძუძუთი კვების კანონის <sup>2</sup> მოთხოვნების დაცვა გულისხმობს შემდეგს:<br>* დაწესებულებაში ხელმისაწვდომია საქართველოს ძუძუთი კვების კანონი და სამედიცინო პერსონალი იცნობს ამ კანონს.<br>* აკრძალულია დედის რძის შემცველების, ბოთლის, საწოვარას რეკლამირება, აგრეთვე მწარმოებლების მასალის (როგორცაა კალენდრები, პოსტერები, საინფორმაციო მასალები, ან საკვების ნიმუშები) გავრცელება,<br>* პჯდ პერსონალი ტრენირებულია ბუნებრივი კვების პრაქტიკის ხელშეწყობის, დაცვისა და პროპაგანდის მიზნით |  |

## 2. პროცესი:

### 2.1. უნივერსალური სკრინინგები

- 1) 1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ წონა/სიგრძე/სიმაღლე და თავის გარემოწერილობის გაზომვა და მონაცემების გადატანა ჯანმო-ს Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე
- 2) 1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ თანდაყოლილი ბარძაყის დისპლაზიის, მხედველობისა და სმენის პრობლემების სკრინინგი
- 3) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს ჩატარებული აქვთ განვითარების რუტინული სკრინინგი ასაკისა და ეტაპების (ASQ-3) სტანდარტული კითხვარით
- 4) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 18 და/ან 24 თვის ასაკში ჩაუტარდათ აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) შეფასება
- 5) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, ვისაც 4-5 წლის ასაკში შეუფასდა წინასასკოლო მზაობა
- 6) 1 წლამდე ასაკის ბავშვების დედის/მომვლელის %, რომელთაც ჩაუტარდათ შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით

| ინდიკატორი 1                         |   |  |
|--------------------------------------|---|--|
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის დასახელება  | ბავშვის ანთროპომეტრიული პარამეტრების შეფასება და გადატანა Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე  |
|                                      | ინდიკატორის განმარტება  | 1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ წონა/სიგრძე/სიმაღლე და თავის გარემოწერილობის გაზომვა და მონაცემების გადატანა ჯანმო-ს Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე   |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?  | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?   | არა  |
| კალკულაცია                           | მრიცხველი   | 1 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ წონა/სიგრძე/სიმაღლე და თავის გარემოწერილობის გაზომვა და მონაცემების გადატანა ჯანმო-ს Z-ქულოვან ზრდის დიაგრამებზე სულ მცირე 6X გასული წლის მანძილზე   |
|                                      | მნიშვნელი   | მოიცავს<br>× პჯდ ბენეფიციარი/პაციენტი<br>× პაციენტის ასაკი არის 1 წელი   |
| ინდიკატორის დასაბუთება               | ბავშვის ანთროპომეტრიული პარამეტრების შეფასება და დოკუმენტირება ყველა რუტინულ ვიზიტზე და პროგრესის პერიოდული გადახედვა აუცილებელია ზრდის |  |

შეფერხების პრობლემების დროული გამოვლენისა და მართვის მიზნით. ბავშვის ზრდის ადეკვატურად შესაფასებლად საჭიროა დინამიკური მეთვალყურეობა. ერთჯერადი შეფასება შეიძლება ანთროპომეტრული მახასიათებლების არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდეს. ამავე დროს, ფიზიკური განვითარების შეფასება დინამიკაში საშუალებას იძლევა შეფასდეს ზრდის ტემპი, ანუ კონკრეტული ანთროპომეტრული პარამეტრის ცვლილებები დროის მონაკვეთში.

ფიზიკური განვითარების შეფასება ტარდება პერიოდულად, რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო ხშირად ხდება შეფასება.

**ინდიკატორი 2**

| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის დასახელება  | სმენის, მხედველობის და ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი   |
|--------------------------------------|---|--|
|                                      | ინდიკატორის განმარტება  | 1 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ თანდაყოლილი ბარძაყის დისპლაზიის, მხედველობისა და სმენის პრობლემების სკრინინგი  |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?  | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?   | არა  |
| კალკულაცია                           | მრიცხველი   | ბავშვთა რაოდენობა მნიშვნელიდან, რომელთაც ჩაუტარდათ: სმენის, მხედველობის და ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი პროტოკოლით გათვალისწინებულ ვადებში  |
|                                      | მნიშვნელი   | <p><b>მოიცავს</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>× პჯდ ბენეფიციარი/პაციენტი</li> <li>× პაციენტის ასაკი არის 1 წელი</li> </ul> <p><b>გამონაკლისი</b></p> <p>არც ერთი</p>  |
| ინდიკატორის დასაბუთება               | <p>სარწმუნო კვლევები რეკომენდაციას უწევენ ბარძაყის დისპლაზიის, მხედველობისა და სმენის რუტინულ შემოწმებას, განსაკუთრებით ცხოვრების პირველ წელს (A ხარისხის რეკომენდაცია).</p> <p>აღნიშნული ინდიკატორი ადგენს სკრინინგის შესაბამისობას ეროვნულ პროტოკოლთან, რომლის მიხედვითაც 1 წლის ასაკამდე ბავშვს უნდა ჩაუტარდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>* სმენის სკრინინგი 3 თვის ასაკამდე სულ მცირე 1 X</li> <li>* მხედველობის სკრინინგი 1 წლამდე სულ მცირე 2X</li> <li>* ბარძაყის დისპლაზიის სკრინინგი 1 წლამდე სულ მცირე 4X</li> </ul> |  |

**ინდიკატორი 3**

| ინდიკატორის დასახელება | განვითარების სკრინინგი |
|------------------------|------------------------|
|------------------------|------------------------|

|                                      |   |  |
|--------------------------------------|---|--|
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის განმარტება                          | 6 წლის ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს ჩატარებული აქვთ განვითარების რუტინული სკრინინგი ასაკისა და ეტაპების (ASQ-3) სტანდარტული კითხვარით  |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?            | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება? | არა  |
| კალკულაცია                           | მრიცხველი                                       | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 12, 18, 24 და 36 თვის ასაკში ჩატარებული აქვთ განვითარების სკრინინგი ასაკისა და ეტაპების (ASQ-3) სტანდარტული კითხვარით და მონაცემი დოკუმენტირებულია ელექტრონულ მოდულში                 |
|                                      | მნიშვნელი                                       | <b>მოიცავს</b><br>× პჯდ კლიენტს/პაციენტს<br>× პირის ასაკი არის 6 წელი<br><br><b>გამონაკლისი</b><br>არც ერთი  |
| <b>ინდიკატორი 4</b>                  |   |  |
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის დასახელება                          | <b>აუტისტური სპექტრის დარღვევების სკრინინგი</b>  |
|                                      | ინდიკატორის განმარტება                          | - 3 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 18 და/ან 24 თვის ასაკში ჩატარდათ აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) შეფასება   |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?            | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |



|                                      |  |   |
|--------------------------------------|--|---|
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?  | არა   |
| კალკულაცია                           | მრიცხველი  | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, რომელთაც ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 18 და/ან 24 თვის ასაკში ჩაუტარდათ აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) შეფასება M-CHAT კითხვარით   |
|                                      | მნიშვნელი  | × პჯდ ბენეფიციარი/პაციენტი<br>× პაციენტის ასაკი არის 3 წელი   |
| ინდიკატორის დასაბუთება               | აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) სკრინინგი აუტისტური სპექტრის დარღვევები (ასდ) ფასდება ბავშვის ზედამხედველობის რეგულარული ვიზიტების დროს 18 და 24 თვის ასაკში  |   |
| <b>ინდიკატორი 5</b>                  |  |   |
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის დასახელება   | <b>განვითარების სკრინინგი 4-5 წლის ასაკში</b>   |
|                                      | ინდიკატორის განმარტება   | 6 წლამდე ასაკის ბავშვების %, რომელთაც 4-5 წლის ასაკში ჩაუტარდათ წინასასკოლო მზაობის შეფასება  |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?   | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?  | არა   |
| კალკულაცია                           | მრიცხველი  | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, 4-5 წლის ასაკში ჩატარებული განვითარების სკრინინგი გამსაკუთრებული აქცენტით მეტყველებისა და ენობრივ უნარებზე წინასასკოლო მზაობის შესაფასებლად   |
|                                      | მნიშვნელი  | <b>მოიცავს</b><br>× პჯდ კლიენტს/პაციენტს<br>× პირის ასაკი არის 6 წელი<br><br><b>გამონაკლისი</b><br>არც ერთი   |
| ინდიკატორის დასაბუთება               | რეკომენდებულია განვითარების ფორმალური სკრინინგის ჩატარება 4 ან 5 წლის ასაკში, როდესაც ბავშვი შედის საბავშვო ბაღში ან სკოლაში. სკრინინგისთვის რეკომენდებულია ამ ასაკზე გათვალისწინებული ASQ-3 კითხვარის გამოყენება, განსაკუთრებული აქცენტით პიროვნულ-სოციალურ, პრობლემის გადაჭრისა და კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებზე. ასაკის მატებასთან ერთად შეფერხების ნიშნები უფრო თვალსაჩინო ხდება. რუტინული სკრინინგის გარეშე, განვითარების ან ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვების |   |

|   |   |  |
|---|---|--|
|   | დაახლოებით 50%-ის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება საბავშვო ბაღში შესვლამდე. ამდენად, განვითარების სტანდარტული სკრინინგის ჩატარებამ 4-5 წლის ასაკში იმ ბავშვებისთვის, რომელთა მიმართაც არსებობს განვითარების პრობლემის რისკი ან ეჭვი, შეიძლება გააუმჯობესოს საბავშვო ბაღში შესვლამდე პრობლემის გამოვლენა და რეფერალი, თუ წინა ვიზიტების დროს ვერ მოხერხდა სწავლის ან ყურადღების დარღვევების ამოცნობა.  |  |
| <b>ინდიკატორი 6</b>                         |   |  |
| <b>ინდიკატორის დასახელება და განმარტება</b> | <b>ინდიკატორის დასახელება</b>   | <b>პოსტნატალური დეპრესიის შეფასება</b>   |
|   | <b>ინდიკატორის განმარტება</b>   | - 1 წლამდე ასაკის ბავშვების დედის/მომვლელის %, რომელთაც ჩაუტარდათ შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით  |
| <b>მონაცემთა ელემენტები</b>                 | <b>მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?</b>   | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|   | <b>მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/ინმარება?</b>  | არა  |
| <b>კალკულაცია</b>                           | <b>მრიცხველი</b>  | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, რომელთა დედას/მომვლელს ჩაუტარდა შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით (მ. შ. რუტინულად და ჩვენების მიხედვით)   |
|   | <b>მნიშვნელი</b>  | <b>მოიცავს</b><br><ul style="list-style-type: none"> <li>× პჯდ ბენეფიციარს/პაციენტს</li> <li>× პაციენტის ასაკი არის 1 წელი</li> <li>× სკრინინგის ჩვენება პროტოკოლის მიხედვით რეკომენდებულ ვადებში</li> </ul>   |
| <b>ინდიკატორის დასაბუთება</b>               | <ul style="list-style-type: none"> <li>× პოსტნატალური დეპრესია (ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალის ქულა [EPDS] <math>\geq 12</math>) აღნიშნება ქალების დაახლოებით 10–15%-ს მშობიარობიდან 12 თვის განმავლობაში (მტკიცებულების ხარისხიB), და როგორც ჩანს, ნებისმიერ კულტურულ ჯგუფში ვითარდება.</li> <li>× პოსტნატალური დეპრესიის სკრინინგისთვის გამოიყენება ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალა (EPDS), რომელიც წარმოადგენს სარწმუნო სკრინინგულ ინსტრუმენტს მისი გამოყენება რეკომენდებულია ანტენატალურ პერიოდში სულ მცირე, ერთხელ მაინც, პოსტნატალურად პირველ ვიზიტზე და სპეციფიკური ჩვენების შემთხვევაში, მაგალითად თუ პაციენტი აღნიშნავს <math>\geq 2</math> კვირის განმავლობაში:<br/> <ul style="list-style-type: none"> <li>* გუნება-განწყობის დაქვეითებას</li> </ul> </li> </ul> |  |

|  |  |
|--|--|
|  | * ან სიამოვნების განცდის დაკარგვას იმ საქმიანობისგან, რომელიც მანამდე ანიჭებდა სიამოვნებას |
|--|--|

**2.2. სელექციური/არაგეგმიური სკრინინგები**

ამ ინდიკატორების პორტალიდან ამოღებისთვის აუცილებელია ASQ-3 კითხვარის შეფასების ვიზიტებში შეტანილი იყოს განვითარების შეფასების ოთხი გამოსავალი: ა) ნორმალური განვითარება; ბ) ნორმალური განვითარება რისკფაქტორებით; გ) განვითარების შეფერხების გამაფრთხილებელი ნიშანი; დ) განვითარების საეჭვო შეფერხება. სელექციური სკრინინგის გრაფაში უნდა გამოდიოდეს ექიმისთვის რემაინდერი, როდის ტარდება სელექციური სკრინინგი.

ასევე განვითარების რისკფაქტორებისთვის ექიმს უნდა ჰქონდეს შემახსენებელი, როდისაა განვითარების პრობლემების მაღალი რისკი:

- \* პრენატალური ზრუნვის არარსებობა ან არასათანადო ზრუნვა
- \* პრობლემები ორსულობის ან მშობიარობის დროს
- \* დღენაკლულობა
- \* 2500გ-ზე დაბალი წონა დაბადებისას
- \* მნიშვნელოვანი სიყვითლე
- \* ჰოსპიტალიზაცია ნეონატალურ პერიოდში
- \* სერიოზული დაავადება, როგორცაა მაგალითად, მენინგიტი, თავის ტრავმა ან გულყრა
- \* მშობლების სისხლით ნათესაობა
- \* მენტალური პრობლემები ოჯახში
- \* სოციალური რისკ-ფაქტორები, როგორცაა ოჯახში ძალადობა, დედის დეპრესია, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის საზიანო მოხმარება, სექსუალური ძალადობა და ა. შ.

- 1) 0-6 წლის ბავშვების %, სელექციური სკრინინგის სპეციფიკური ჩვენებით, სადაც ჩატარდა შესაბამისი გეგმიური სკრინინგი
- 2) 6 წლამდე ბავშვთა %, ასდ-ს მაღალი რისკით/საყურადღებო სიმპტომებით, სადაც ჩატარდა აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) რიგგარეშე (არაგეგმიური) შეფასება
- 3) 6 წლამდე ასაკის ბავშვთა % განვითარების რისკფაქტორებით/გამაფრთხილებელი ნიშნებით, რომელთაც ჩაუტარდათ განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი
- 4) 1 წლამდე ასაკის ბავშვების დედის/მომვლელის %, რომელთაც ჩაუტარდათ არაგეგმიური შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით

|                     |                        |                               |
|---------------------|------------------------|-------------------------------|
| <b>ინდიკატორი 1</b> |                        |                               |
|                     | ინდიკატორის დასახელება | გეგმიური სელექციური სკრინინგი |

|                                      |   |  |
|--------------------------------------|---|--|
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის განმარტება  | - 0-6 წლის ბავშვების %, ვისაც სელექციური სკრინინგის სპეციფიკური ჩვენების შემთხვევაში ჩატარდა შესაბამისი გეგმიური სკრინინგი   |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?  | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?   | არა  |
| კალკულაცია                           | მრიცხველი   | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, სადაც ჩვენების არსებობის შემთხვევაში ჩატარდა სპეციფიკური სკრინინგები   |
|                                      | მნიშვნელი   | <b>მოიცავს</b><br>× პჯდ ბენეფიციარს/პაციენტს<br>× პაციენტის ასაკი არის 0-6 წელი<br>× მეთვალყურეობის ვიზიტის დროს დაფიქსირებულია გეგმიური სელექციური სკრინინგის ჩვენება   |
| ინდიკატორის დასაბუთება               | სელექციური სკრინინგისთვის სპეციფიკური რისკის არსებობის შემთხვევაში (იხილეთ პროტოკოლის დანართი №1) დამატებით ტარდება შემდეგი სკრინინგები:<br>x ანემია - რისკის არსებობისას ჰემოგლობინის ან ჰემატოკრიტის განსაზღვრა;<br>x არტერიული წნევა (სპეციფიკური რისკის ან რისკის ცვლილების შემთხვევაში);<br>x დისლიპიდემია - სკრინინგული კითხვებისას მაღალი რისკის შემთხვევაში ლიპიდური პროფილი;<br>x სმენის სკრინინგი - რეფერალი დიაგნოსტიკური აუდიოლოგიური კვლევისთვის სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში;<br>x ტყვიის შემცველობა სისხლში - სკრინინგულ კითხვარზე დადებითი პასუხის შემთხვევაში;<br>x პირის ღრუს ჯანმრთელობა (სასმელ წყალში ფტორის დაბალი შემცველობისას) - პერორული ფტორის დანიშვნა;<br>x მხედველობა - რისკის შეფასებისას მაღალი რისკის შემთხვევაში რეფერალი ოფთალმოლოგთან. |  |
| <b>ინდიკატორი 2</b>                  |   |  |
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის დასახელება  | <b>აუტიზმის რიგგარეშე სკრინინგი</b>  |
|                                      | ინდიკატორის განმარტება  | - 6 წლამდე ბავშვთა %, რომელთაც ასდ-ს მაღალი რისკის/საგანგაშო სიმპტომების შემთხვევაში ჩატარდა აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) რიგგარეშე (არაგეგმიური) შეფასება   |

|                                      |  |  |
|--------------------------------------|--|--|
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?   | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?  | არა  |
| კალკულაცია                           | მრიცხველი  | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, რომელთაც ასდ-ს მაღალი რისკის/საგანგაშო სიმპტომების შემთხვევაში ჩაუტარდათ აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) რიგგარეშე (არაგეგმიური) შეფასება   |
|                                      | მნიშვნელი  | × პჯდ ბენეფიციარი/პაციენტი<br>× პაციენტის ასაკი არის 6 წელი  |
| ინდიკატორის დასაბუთება               | × აუტისტური სპექტრის დარღვევების (ასდ) დამატებითი სკრინინგის საჭიროება შესაძლოა დადგეს, თუ ბავშვს ასდ-ს მაღალი რისკი აღენიშნება (მაგ.: და, ძმა, ან ოჯახის სხვა წევრი ასდ-თი) ან თუ სახეზეა ასდ-სთან ასოცირებული სიმპტომები/საშიშროების ნიშნები |  |
| <b>ინდიკატორი 3</b>                  |  |  |
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის დასახელება   | <b>განვითარების რიგგარეშე სკრინინგი</b>  |
|                                      | ინდიკატორის განმარტება   | 6 წლამდე ასაკის ბავშვთა %, რომელთაც ჩაუტარდათ განვითარების რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი   |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?   | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?  | არა  |
| კალკულაცია                           | მრიცხველი  | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, სადაც განვითარების შეფერხებაზე ეჭვის (გამაფრთხილებელი ნიშნის) შემთხვევაში დოკუმენტირებულია რიგგარეშე (არაგეგმიური) სკრინინგი   |
|                                      | მნიშვნელი  | <b>მოიცავს</b><br>× პჯდ კლიენტს/პაციენტს   |

|   |  |  |
|---|--|--|
|   |  | × პირის ასაკი არის 6 წელი<br><b>გამონაკლისი</b><br>არც ერთი  |
| <b>ინდიკატორის დასაბუთება</b>               | <p>სკრინინგი ასევე ტარდება რისკფაქტორების დადგენისას ან განვითარებაზე ზედამხედველობისას პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. ასეთ დროს სკრინინგი ფოკუსირებულია პრობლემურ სფეროზე.</p> <p>თუ ბავშვი ვერ ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტებს (2 ან მეტი სფერო ან ქვესფერო) და/ან გამოვლინდა მშობლის ჩივილი - რეკომენდებულია რიგგარეშე სკრინინგის ჩატარება, რათა გამოვლინდეს განვითარების შეფერხების რისკის მქონე ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ღრმა გამოკვლევას.</p> <p>თუ ბავშვი ვერ ასრულებს ერთი რომელიმე სფეროს ასაკობრივ ნიშანსვეტებს მიზანშეწონილია რიგგარეშე სკრინინგის დროს ფოკუსირება მოცემულ სფეროზე.</p> <p><b>განვითარების პრობლემების მაღალი რისკი აღინიშნება შემდეგ შემთხვევებში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>* პრენატალური ზრუნვის არარსებობა ან არასათანადო ზრუნვა</li> <li>* პრობლემები ორსულობის ან მშობიარობის დროს</li> <li>* დღენაკლულობა</li> <li>* 2500გ-ზე დაბალი წონა დაბადებისას</li> <li>* მნიშვნელოვანი სიყვითლე</li> <li>* ჰოსპიტალიზაცია ნეონატალურ პერიოდში</li> <li>* სერიოზული დაავადება, როგორცაა მაგალითად, მენინგიტი, თავის ტრავმა ან გულყრა</li> <li>* მშობლების სისხლით ნათესაობა</li> <li>* მენტალური პრობლემები ოჯახში</li> <li>* სოციალური რისკფაქტორები, როგორცაა ოჯახში ძალადობა, დედის დეპრესია, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის საზიანო მოხმარება, სექსუალური ძალადობა და ა. შ.</li> </ul> |  |
| <b>ინდიკატორი 4</b>                         |  |  |
| <b>ინდიკატორის დასახელება და განმარტება</b> | <b>ინდიკატორის დასახელება</b>  | <b>პოსტნატალური დეპრესიის არაგეგმიური შეფასება</b>   |
|   | <b>ინდიკატორის განმარტება</b>  | - 1 წლამდე ასაკის ბავშვების დედის/მომვლელის %, რომელთაც ჩაუტარდათ შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით არაგეგმიურად   |
| <b>მონაცემთა ელემენტები</b>                 | <b>მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?</b>  | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|   | <b>მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?</b>   | არა  |



|                        |  |  |
|------------------------|--|--|
| კალკულაცია             | მრიცხველი  | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, რომელთა დედას/მომვლელს ჩაუტარდა შეფასება პოსტნატალურ დეპრესიაზე EPDS სკალით (არაგეგმიურად, ჩვენების მიხედვით)  |
|                        | მნიშვნელი  | <b>მოიცავს</b><br>× პუდ ბენეფიციარს/პაციენტს<br>× პაციენტის ასაკი არის 1 წელი<br>× პაციენტის დედა/მომვლელი აღნიშნავს $\geq 2$ კვირის განმავლობაში:<br>* გუნება-განწყობის დაქვეითებას<br>* ან სიამოვნების განცდის დაკარგვას იმ საქმიანობისგან, რომელიც მანამდე ანიჭებდა სიამოვნებას |
| ინდიკატორის დასაბუთება | × პოსტნატალური დეპრესია (ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალის ქულა [EPDS] $\geq 12$ ) აღნიშნება ქალების დაახლოებით 10–15%-ს მშობიარობიდან 12 თვის განმავლობაში (მტკიცებულების ხარისხი B), და როგორც ჩანს, ნებისმიერ კულტურულ ჯგუფში ვითარდება.<br>× პოსტნატალური დეპრესიის სკრინინგისთვის გამოიყენება ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალა (EPDS), რომელიც წარმოადგენს სარწმუნო სკრინინგულ ინსტრუმენტს მისი გამოყენება რეკომენდებულია ანტენატალურ პერიოდში სულ მცირე, ერთხელ მაინც, პოსტნატალურად პირველ ვიზიტზე და სპეციფიკური ჩვენების შემთხვევაში, მაგალითად თუ პაციენტი აღნიშნავს $\geq 2$ კვირის განმავლობაში:<br>* გუნება-განწყობის დაქვეითებას<br>* ან სიამოვნების განცდის დაკარგვას იმ საქმიანობისგან, რომელიც მანამდე ანიჭებდა სიამოვნებას |  |

### 2.3. მიმდინარე მეთვალყურეობა

- 1) 0-6 წლის ბავშვების %, სადაც მეთვალყურეობა მიმდინარეობს ნორმალური განვითარების მეთვალყურეობის რეკომენდებულ ვადებში
- 2) 0-6 წლის ბავშვების %, განვითარების სელექციური სკრინინგის ჩვენებით, სადაც დოკუმენტირებულია მეთვალყურეობა
- 3) 0-6 წლის ასაკის ბავშვთა %, სადაც უკურეფერალის შედეგები დოკუმენტირებულია და არსებობს რეესტრები უკურეფერალის დიაგნოზებით
- 4) 0-6 წლის ბავშვების განვითარებაზე მეთვალყურეობის გეგმა-შესრულება (მათ შორის, გეგმიური და რიგგარეშე) გვაქვს მომდევნო ვიზიტის თარიღები ყველა შემთხვევაში, ამის დათვლა შეგვიძლია, სად უნდა იყოს ინდიკატორი, ვიმსჯელოთ?

|              |                        |  |
|--------------|------------------------|--|
| ინდიკატორი 1 |                        |  |
|              | ინდიკატორის დასახელება | გეგმიური მეთვალყურეობა ნორმალური განვითარების დროს |

|                                      |   |  |
|--------------------------------------|---|--|
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის განმარტება  | - 0-6 წლის ბავშვების %, სადაც დოკუმენტირებულია ჯანმრთელობასა და განვითარებზე მეთვალყურეობა პროტოკოლით რეკომენდებულ ვადებში   |
| მონაცემთა ელემენტები                 | მონაცემთა რომელი ელემენტებია საჭირო?  | 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული, სამედიცინო ბარათები, პედიატრიული კონტინგენტის რეესტრები, პაციენტთა ამბულატორიული და ბინაზე ვიზიტების რეგისტრაციის ჟურნალი, იმუნიზაციის ელექტრონული მოდული ელექტრონული სამედიცინო ისტორია სამედიცინო ბარათის ქალაქდური ვერსია |
|                                      | მონაცემთა ელემენტები ამჟამად გროვდება/იხმარება?   | არა  |
| კალკულაცია                           | მრიცხველი   | ბავშვების რაოდენობა მნიშვნელში მითითებულიდან, სადაც დოკუმენტირებულია გეგმიური მეთვალყურეობა (პროგრამით განსაზღვრული რუტინული ვიზიტების მიხედვით)   |
|                                      | მნიშვნელი   | <b>მოიცავს</b><br>× პჯდ ბენეფიციარს/პაციენტს<br>× პაციენტის ასაკი არის 0-6 წელი  |
| ინდიკატორის დასაბუთება               | სხვადასხვა საერთაშორისო წყაროები თანხმდებიან, რომ არსებობს გარკვეული პერიოდები 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მეთვალყურეობისას, როდესაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია განვითარებისა და ქცევითი პრობლემების სკრინინგისა და დაავადებათა პრევენციისთვის. ეს ვიზიტებია: 2 კვირამდე, 1 თვე, 2 თვე, 4 თვე, 6 თვე, 9 და 12 თვე პირველ წელს, 18, 24 და 30 თვე მეორე წელს, 3, 4 და 5 წლის ასაკი. ეს რუტინული ვიზიტები განსაზღვრულია ეროვნული პროტოკოლით (სახელმწიფო სტანდარტით) |  |
| <b>ინდიკატორი 2</b>                  |   |  |
| ინდიკატორის დასახელება და განმარტება | ინდიკატორის დასახელება<br>ინდიკატორის განმარტება  | <b>მეთვალყურეობა სელექციური სკრინინგის დროს</b><br>- 0-6 წლის ბავშვების %, სადაც დოკუმენტირებულია ჯანმრთელობასა და განვითარებზე მეთვალყურეობა სელექციური სკრინინგის ჩვენების დროს  |
